ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ა. ნ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 16.08.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 063/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ფ.-ის მიმართ /სიითი N /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ფ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 16 აგვისტოს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ა. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. ფ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან 2016 წლის აპრილში იურიდიული კონსულტაციის მისაღებად მიმართა ადვოკატ ნ. ფ.-ს, ქ. ქუთაისში. მას სურდა ადვოკატს ერჩია იურიდიულად რამდენად გამართლებული იქნებოდა საკასაციო საჩივრის შეტანა. მან ადვოკატს გააცნო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება. ადვოკატმა განუცხადა, რომ ,,ეს იყო ყალბი გადაწყვეტილება და აუცილებლად უნდა მომხდარიყო მისი გაუქმება“, ადვოკატმა მას მისცა საქმის 100%-ით მოგების გარანტია. დაახლოებით იგივე საუბარი მიმდინარეობდა მასსა და ადვოკატს შორის მეორე შეხვედრისას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მესამე შეხვედრისას მან ადვოკატს მისცა მინდობილობა, რომლის საფუძველზეც ადვოკატს უნდა განეხორციელებინა შემდეგი მოქმედებები: სასამართლოში უნდა მოეხდინა გადაწყვეტილების დაშლა, გაუქმება, უნდა მოეგო მისი საქმე და პოლიციისათვის უნდა დაევალდებულებინა მისი სახლიდან გამოესახლებინა იქ მცხოვრები გარეშე პირი. ადვოკატმა თანხა აიღო და მას გადაწყვეტილების დაშლას და გაუქმებას შეპირდა უსაფუძვლოდ, მანამდე, სანამ რეალურად შეიტყობდა, რომ არსებობდა ახლად აღმოჩენილი გარემოება.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მომსახურების განსახორციელებლად მან ადვოკატს გადასცა 450 (ოთხას ორმოცდაათი) აშშ დოლარი. ასევე, რადგან ის ხედავდა, რომ მოვლენები ვითარდებოდა მისთვის არასასურველად, უხდებოდა ხშირად მგზავრობა ზესტაფონსა და ქუთაისს შორის, რამაც გამოიწვია დამატებით დიდი ფინანსური ხარჯები. ასევე, მან ადვოკატს დამატებით გადასცა ჯამში 400 (ოთხასი) ლარი.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მიერ შედგენილ ყველა განცხადებას უარი ეთქვა განხილვაზე, ამ განცხადებების არასათანადოობის გამო. ნოემბერში, როდესაც მან ისევ მიიღო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე, მისთვის აშკარა გახდა, რომ ადვოკატს არ ჰქონდა რაიმე არგუმენტი ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილების გასაუქმებლად. ამ ფაქტთან დაკავშირებით ადვოკატმა ყველა მისი შეკითხვა დატოვა უპასუხოდ და აცნობა, რომ შეეწყვიტათ ურთიერთობა და დაუბრუნებდა გადახდილი ჰონორარის ნაწილს, ასევე იქნებოდა შესრულებული ადვოკატის აუცილებელი ვალდებულება - დაწერდა სააპელაციო საჩივარს და როგორც წესი ეს საჩივარი რაიმე საფასურთან ვეღარ იქნებოდა დაკავშირებული.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას პრეტენზიები აქვს ადვოკატის მიერ გაწეულ კონკრეტულ მოქმედებებთან დაკავშირებით: ადვოკატმა მის საქმეზე მაისში გამოითხოვა ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომლის მოქმედების ვადა იყო ერთი თვე და განცხადება შეიტანა სასამართლოში ოქტომბერში, როდესაც ცნობას მოქმედების ვადა ჰქონდა გასული.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა პოლიციას მიმართა მოთხოვნით საჩივრის ავტორის სახლიდან გამოესახლებინათ პიროვნება. პოლიციამ უპასუხა, რომ გამოსახლება არ არის პოლიციის ვალდებულება. ამის შემდეგ ადვოკატმა კვლავ მიმართა პოლიციას განცხადებით, რომელშიც გამოსახლების მოთხოვნა აღარ დაუყენებია, თუმცა პოლიციამ განუმარტა, რომ ამ საკითხებით პოლიციისათვის მიმართვა უსაფუძვლოა. ის ორჯერ დაიკითხა გამომძიებლის მიერ, თუმცა დაკითხვებს ადვოკატი არ დასწრებია. მართალია მესამე დაკითხვას მისი დაჟინებული მოთხოვნით დაესწრო ადვოკატი, სადაც ჩაილაპარაკა მხოლოდ ერთი წინადადება და კანონის ძალით არ მოსთხოვა პოლიციელს შეეწყვიტა სიცრუე და კანონის ზეწოლით მიეღო სწორი გადაწყვეტილება.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მომზადებულ დოკუმენტებზე სამოქალაქო რეესტრიდან მიიღო უარი, სასამართლოდან უარი, პოლიციის მხრიდან მოტყუება და უარი,

ჯანდაცვის რიგითი მოხელეებისაგან კი პასუხი საერთოდ არ მიუღია და როდესაც მან ადვოკატს მოსთხოვა ურთიერთობის შეწყვეტა და თანხის დაბრუნება, ადვოკატმა შესთავაზა, რომ შეადგენდა სააპელაციო საჩივარს, რომელსაც მოსამართლე დააკმაყოფილებდა და თუ ეს ასე არ მოხდებოდა, მაშინ დაუბრუნებდა თანხის ნაწილს. ადვოკატმა მართლაც დაწერა საჩივარი, რომელზეც შედეგი არ დადგა და დრო გაიყვანა. თან ამ პერიოდში ის მოატყუა, რომ აღმოაჩინა ახალი გარემოება, რაც გახდებოდა საქმის აუცილებლად მოგების გარანტია.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მიერ მითითებული ახლად აღმოჩენილი გარემოება იყო ის, რომ მან სასამართლოს მიმართა განცხადებით საჩივრის ავტორის ძმის - დ. ნ.-სათვის მხარდამჭერის დანიშვნის მოთხოვნით. სასამართლომ განცხადება დატოვა განუხილველი, რადგან იყო დაუსაბუთებელი და გაურკვეველი. სანამ ამ განცხადებაზე პასუხი მოვიდოდა, დ. ნ.-ის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რადგან ის მოკვლის მიზნით თავს დაესხა საჩივრის ავტორს. ადვოკატმა მას განუმარტა, რომ გამოეძიებისათვის უნდა მიემართა განცხადებით, რომ მათ დაენიშნათ სასწრაფოდ დ. ნ.-სათვის მხარდამჭერი, რისთვისაც მან გადაიხადა ორდერის თანხა 100 ლარი. ადვოკატისაგან ჰქონდა ინფორმაცია, რომ ის ეკონტაქტებოდა გამომძიებელს და ყველაფერი მიდიოდა მის სასიკეთოდ, თუმცა როდესაც თავად დაიბარა გამომძიებელმა დაკითხვაზე, მან გაარკვია, რომ ადვოკატს არც კონტაქტი ჰქონდა გამომძიებელთან და კანცელარიაში ჩაბარებული ადვოკატის ორდერი გამომძიებელმა საქმეში არ ჩადო, რადგან არ იყო შევსებული.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, ამ საქმეზე მოსამართლემ სხდომაზე განუმარტა, რომ რაიმე არგუმენტის დაყენება შეუძლიათ წინასასამართლო სხდომამდე 5 დღით ადრე. ადვოკატმა კი სასამართლოს პროცესების დაწყების შემდეგ დაიწყო რაღაც შუამდგომლობების დაყენება, რომლებსაც მოსამართლე არ აკმაყოფილებდა. პროცესზე მისმა ადვოკატმა ვერ ჩამოაყალიბა აზრი გამართულად, მან ისიც კი ვერ მოახერხა, რომ დაეყენებინა მოსამართლის აცილების თაობაზე შუამდგომლობა.

1.11 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის ადვოკატისაგან ითხოვს განუმატოს რომელ საადვოკატო მოქმედებებს მოხმარდა მის მიერ გადახდილი საადვოკატო მომსახურების ჰონორარი.

1.12 საჩივრის ავტორმა 2017 წლის 27 სექტემბერს ეთიკის კომისიაში დამატებით წარმოდგენილ განცხადებაში განმარტა, რომ ადვოკატის ახსნა-განმარტებაში მითითებული ფაქტები სიმართლეს არ შეესაბამება. საჩივრის ავტორმა 2018 წლის 11 იანვარს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი განცხადებით შეავსო საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. ფ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2017 წლის 02 სექტემბერს, სადაც მიუთითა, რომ ა. ნ.-მ მას დახმარებისათვის მიმართა 2016 წლის აპრილის თვეში. კლიენტმა მას სთხოვა დაეწერა საკასაციო საჩივარი, რადგან ზესტაფონის რაიონულ სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში წაგებული ჰქონდა პროცესი. კლიენტს საკასაციო საჩივრის შეტანის პარალელურად სურდა თავის კუთვნილ სახლში დაბრუნება, საიდანაც ის

გამოგდებული ყავდა დედას, დას და ძმას. ამისათვის მან განცხადებით მიმართა ზესტაფონის პოლიციას, თუმცა პოლიციამ ვერ უზრუნველყო მისი სახლში დაბრუნება და მხოლოდ ნივთები გამოატანინა სახლიდან.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მან კლიენტს დაუწერა სააპელაციო საჩივარი, თუმცა მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს და ძალაში დარჩა ზესტაფონის რაიონული სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.

2.3 ადვოკატის განცხადებით, 2016 წლის მაისში მან სასარჩელო განცხადებით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ა. ნ.-ისათვის, როგორც მესაკუთრისათვის მისი ძმისაგან საკუთრებაზე ხელშეშლის აღკვეთა. მოსამართლემ არ განიხილა მათი მოთხოვნა საკასაციო საჩივრის განხილვამდე. ადვოკატის განცხადებით, ამ პერიოდში მან მოიპოვა დოკუმენტაცია საჯარო რეესტრიდან. აღმოჩნდა, რომ ა. ნ.-ის ძმას დ. ნ.-ს თავისი ნებით ჰქონდა ბინა გადაცემული ა. ნ.-ისათვის, ეს ადვოკატმა მიიჩნია ახლადაღმოჩენილ გარემოებად და განცხადებით მიმართა სასამართლოს 2015 წლის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით, მაგრამ ეს განცხადება ა. ნ.-მ სასამართლოში არ შეიტანა, იმ მოტივით, რომ დასრულებული არ იყო საკასაციო წესით საქმის განხილვა. ადვოკატი განმარტავს, რომ ეს განცხადება ა. ნ.-მ სასამართლოში შეიტანა 2016 წლის ნოემბერში, მაგრამ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ მათი მოთხოვნა არ იქნა მიჩნეული ახლადაღმოჩენილ გარემოებად.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ამ პერიოდში არაერთხელ მიმართეს პოლიციას, იმერეთის სამხარეო სამმართველოს, იმასთან დაკავშირებით, რომ ხდებოდა ა. ნ.-ის ცემა და შევიწროება მისი ძმის, დ. ნ.-ის მიერ, თუმცა უშედეგოდ.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2016 წლის 23 დეკემბერს ა. ნ.-ზე უეცარი თავდასხმა განახორციელა მისმა ძმამ დ. ნ.-მ, რის გამოც ზესტაფონის პოლიციამ დაზარალებულად ცნო ა. ნ., ბრალდებულად კი მისი ძმა დ. ნ.. პოლიციამ მოწმის სახით დაკითხა ა. ნ.-ის დედა და და, მაგრამ მათი ჩვენებები ა. ნ.-ის პოზიციის საწინააღმდეგო იყო. პოლიციას ამის შემდეგ მათ მიმართ არავითარი ღონისძიება არ გაუტარებია.

2.6 ადვოკატის განმარტებით, პოლიციაში წარდგენილ დაკითხვის ოქმებში აღმოჩნდა, რომ ა. ნ.-ის დედა და ძმა თავად აცხადებდნენ, რომ სადაო ბინას ისინი ფაქტობრივი ფლობით არასოდეს დაუფლებიან. მან ესეც მიიჩნია ახლადაღმოჩენილ გარემოებად და მიმართეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მაგრამ სასამართლომ არც ეს ცნო ახლადაღმოჩენილ გარემოებად. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება მან გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში, შემდეგ კი უზენაეს სასამართლოში. სასამართლომ ძალაში დატოვა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

2.7 ადვოკატის განცხადებით, ის ა. ნ.-ს მოემსახურა კეთილსინდისიერად, მისი მომსახურეობისათვის გადასახდელი თანხიდან ბანკში ჩარიცხა მხოლოდ 100 (ასი) ლარი და შეთანხმებისამებრ, კლიენტს დარჩენილი თანხა უნდა ჩაერიცხა საქმის დასრულებისას, რაც არ განუხორციელებია.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ნ. ფ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული სსიპ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან“.

3.2 ა. ნ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 16 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2016-2017 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. ფ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა მისცა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის გადაწყვეტილების გაუქმების 100% გარანტია, მაშინ როდესაც მას არ ჰქონდა ამ გადაწყვეტილების გასაუქმებლად ხელჩასაჭიდი რაიმე გარემოება ან არგუმენტი; ადვოკატმა გაუწია არაკვალიფიციური მომსახურება, რაც გამოიხატა იმაში, რომ ადვოკატის მიერ სხვადასხვა ორგანოებში შეტანილი განცხადებები დარჩა განუხილველი, რადგან არ იყო სამართლებრივად სწორად დასაბუთებული. ადვოკატმა ორჯერ მიმართა პოლიციას განცხადებით, მაშინ როდესაც განცხადებაში მითითებული საკითხები პოლიციის განსახილველი არ იყო.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. ფ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

5.2.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი: ,,ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით“.

5.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა დაიცვას კლიენტის ინტერესები, რაც გულისხმობს იმას, რომ მან ყველა შესაძლო საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის დასაცავად. ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს საქმის კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებათა შესრულება, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

5.4 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში /დისციპლინურ საქმეზე 062/15/ განმარტა, რომ ,,ადვოკატი განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობისას სტრატეგიას, იურიდიულ მოქმედებათა სახეებს, რჩევის ტენდენციასა და მტკიცებულებათა შერჩევას, მათი რელევანტურობის კუთხით კლიენტის ინტერესებისათვის. კლიენტს სრული უფლება აქვს გამოხატოს ეჭვი, პრეტენზია ადვოკატის მოქმედებათა ტენდენციაზე, მტკიცებულებათა შერჩევის სისწორეზე, თუმცა ადვოკატის როლი სწორედ მის კომპეტენტურობაშია და როგორც წესი იგულისხმება, რომ ადვოკატი - როგორც სპეციალისტი, შეარჩევს კლიენტის ინტერესებისათვის მომგებიან იურიდიულ მხარეს.“

5.5 ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით /განაცხადი №C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlande Orde van Advocaten/ “ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს.“ ყოველივე იძლევა იმის საშუალებას, რომ საზოგადოებისათვის ნათლად გამოჩნდეს ადვოკატის პროფესიული უნიკალურობა.

5.6 საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ნ. ფ.-ს შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დაიწყო 2016 წლის აპრილში. მხარეთა შორის მინდობილობა N გაფორმებულია 2016 წლის 04 მაისს. მხარეეთა პოზიციებიდან კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატმა ა. ნ.-ს გაუწია მომსახურება სასამართლოში (სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეზე) და პროკურატურაში. სასამართლოში ადვოკატის მიერ განხორციელებულია შემდეგი მოქმედებები:

5.6.1 პირველ ეტაპზე ადვოკატმა მოამზადა საკასაციო საჩივარი, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებათა გაუქმება. საკასაციო სასამართლომ საჩივარი არ დააკმაყოფილა.

5.6.2 ადვოკატმა 2016 წლის 16 მაისს N განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა დოკუმენტაცია, რომლებიც მიიღო 2016 წლის 17 მაისს.

5.6.3 ადვოკატმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე დ. ნ.-ისაგან უძრავ ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა. აღნიშნული სარჩელი 2016 წლის 30 ივნისის განჩინებით დარჩა განუხილველი (საქმე N).

5.6.4 ადვოკატმა 2016 წლის 18 ოქტომბერს განცხადებით მიმართა ზესტაფონის რაინულ სასამართლოს, სადაც მოთხოვნას წარმოადგენდა საქმისწარმოების განახლება ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო. სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა

განცხადების დასაშვებობის საკითხი და 2016 წლის 19 ოქტომბრის N განჩინებით განცხადებაზე დაადგინა ხარვეზი. ადვოკატმა 2016 წლის 24 ოქტომბერს ხარვეზის გასწორების შესახებ განცხადებით მიმართა სასამართლოს. ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე საქმეზე N - 2016 წლის 25 ოქტომბრის N განჩინებით დაადგინა, რომ ა. ნ.-ის განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე, დაუშვებლობის გამო დარჩეს განუხილველი. ეს განჩინება ადვოკატმა კერძო საჩივრით გაასაჩივრა და მოითხოვა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2017 წლის 30 იანვრის განჩინებით საქმეზე N ა. ნ.-ის კერძო საჩივარი არ დააკმაყოფილა და უცვლელად დატოვა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 ოქტომბრის განჩინება.

5.6.5 ადვოკატმა ა. ნ.-ის სახელით მოამზადა განცხადება ზესტაფონის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის სახელზე, განცხადების მოთხოვნას წარმოადგენდა ა. ნ.-ის ძმის დ. ნ.-ის ფსიქოსოციალური საჭიროების სტატუსის მქონე პირად ცნობის მიზნით ექსპერტიზის დანიშვნა. ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნული განცხადება განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და 2017 წლის 08 თებერვლის N განჩინებით საქმეზე N უარი თქვა განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

5.6.6 2017 წლის 02 მაისს ადვოკატმა კვლავ მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 20 ნოემბრის N გადაწყვეტილებაზე ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება. სასამართლომ სხდომაზე განიხილა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საკითხი და საქმეზე N, 2017 წლის 12 ივნისს N განჩინებით უარი თქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე.

5.6.7 ადვოკატი ნ. ფ. სისხლის სამართლის საქმეში, სადაც ბრალდებულს წარმოადგენდა ა. ნ.-ის ძმა, იცავდა ა. ნ.-ის, როგორც დაზარალებულის კანონიერ ინტერესს და ახორციელებდა მის სასარგებლო იურიდიულ მოქმედებებს. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება, რომ ადვოკატმა მოამზადა და ა. ნ.-მ სასამართლოს მიმართა წერილებით: 2017 წლის 15 მარტს, 11 აპრილს, 08 მაისს. აღნიშნულ საქმეზე საბოლოოდ შედეგი ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის პერიოდში არ დამდგარა.

5.7 სასამართლოში მიმდინარე საქმეთა პარალელურად ადვოკატმა განცხადებით მიმართა პოლიციას. განცხადების მიზანს წარმოადგენდა საჩივრის ავტორის იმ სახლში შესახლება, რომელიც საჯარო რეესტრის ცნობით, იყო მისი საკუთრება, თუმცა ამ მოქმედების განხორციელება პოლიციამ ვერ უზრუნველყო. ადვოკატმა 2016 წლის 14 სექტემბერს კვლავ მიმართა განცხადებით პოლიციის დეპარტამენტს და მოითხოვა ა. ნ.-სა და დ. ნ.-ს შორის არსებულ ქონებრივ დავაში შესაძლო დანაშაულის ნიშნების არსებობის გამოძიება. 2016 წლის 28 სექტემბრის N წერილით მას ეცნობა, რომ მის განცხადებაზე არ დაწყებულა გამოძიება სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

5.8 კოლეგია განმარტავს, რომ შეთანხმების საგნის ფარგლებში, საპროცესო კოლეგიაში მიღებული ინფორმაციებითა და დოკუმენტებით ჩანს, რომ ადვოკატის მიერ ზოგადად განხორციელებულია იურიდიული (საადვოკატო) მოქმედებები სასამართლოსა და პროკურატურაში, რომლებიც კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ იყო მიმართული.

5.9 კოლეგია განმარტავს, რომ საადვოკატო საქმიანობა და სამოსამართლეო საქმიანობა არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან. საადვოკატო საქმიანობის შედეგი შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი და ეს შედეგი სამოსამართლეო უფლებამოსილების განხორციელებისას დგება მოსამართლის/მოსამართლეების მიერ. პროფესია ადვოკატი არის კლიენტის კანონიერი ინტერესების ერთგული დამხმარე იურიდიული ფორმით ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, კლიენტის ინტერესების პერსპექტივას გააჩნია თუ არა სუსტი მხარეები. ამ პროცესში კლიენტი ზოგჯერ არ არის ორიენტირებული იმ მოსალოდნელ რისკებზე, რომლის შესახებაც ესაუბრა მას ადვოკატი და მას შემდეგ, რაც დადგება არასასარგებლო შედეგი, თავს იჩენს უარყოფითი მხარეების მოძიების მომენტი. ამ დროს შესაძლებელია, რომ კლიენტმა მომართოს ეთიკის კომისიას და სასამართლოში მისთვის უარყოფითი შედეგის დადგომაში ბრალი დასდოს ადვოკატს.

5.10 კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის ყველა პრეტენზია უკავშირდება ადვოკატის საადვოკატო მოქმედებებს, რადგან მის საქმეზე არ დადგა მისთვის სასურველი შედეგი. ადვოკატის მიერ გაწეული საადვოკატო მომსახურების ანალიზის შედეგად, კოლეგიას არ გაუჩნდა ვარაუდი, რომ ადვოკატმა ნ. ფ.-მ ა. ნ.-ის საქმე აწარმოა არაკეთილსინდისიერად და არაკვალიფიციურად.

5.11 საქმის 100%-ით მოგების გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით, ეთიკის კომისიამ 2014 წლის 12 ივნისის N077/13 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ ,,ადვოკატის პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს, იზრუნოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში ნდობის ამაღლებისა და დაფასებისათვის. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისგან მიღებული საქმის შედეგზე გარანტიის მიცემა ზიანს აყენებს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ შეხედულებებსა და ნდობას და ასევე, კლიენტს უჩენს არასწორ მოლოდინს სასამართლო გადაწყვეტილებისადმი და კლიენტის მიერ შესაძლო რისკების შეფასება რთულდება. შესაბამისად, ადვოკატის მიერ გაცემული გარანტია საფრთხეს უქმნის როგორც საადვოკატო საქმიანობისადმი სანდოობას, ისე, მართლმსაჯულების სისტემისადმი დამოკიდებულებას; თუკი კლიენტისათვის მოულოდნელი სასამართლო გადაწყვეტილებით სრულდება საქმე, კლიენტი, როგორც საზოგადოების წევრი უნდობლობით განიმსჭვალება ან ადვოკატის ან სასამართლო ხელისუფლების მიმართ, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება ადვოკატის პროფესიის განზოგადებულ რეპუტაციაზე ან მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებაზე.“

5.12 კოლეგიის შეფასებით, მხარეებს საქმის შედეგზე გარანტიის მიცემასთან დაკავშირებით აქვთ განსხვავებული პოზიციები. მომჩივანის პოზიციით, ადვოკატმა საქმის მოგების გარანტია მისცა მათი პირველი შეხვედრისას, მაშინ, როდესაც მის საქმეს ბოლომდე არც კი იცნობდა, ხოლო თავის მხრივ, ადვოკატი განმარტავს, რომ მას კლიენტისათვის საქმის შედეგზე გარანტია არ მიუცია.

მხარეებს არ წარმოუდგენიათ თავიანთი პოზიციის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება, გარდა განმარტებისა. შესაბამისად, კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატ ნ. ფ.-ს კლიენტისათვის საქმის მოგების გარანტია არ მიუცია.

5.13 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატს მისთვის არ გაუწევია გადახდილი ჰონორარის სანაცვლო მომსახურება, იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი

5.14 საჩივრის ავტორის ინფორმაციით, მან ადვოკატს გადასცა 450 (ოთხას ორმოცდაათი) აშშ დოლარი და 400 (ოთხასი) ლარი ხელზე. ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტმა მას გადასცა მხოლოდ 100 (ასი) ლარი და დანარჩენი თანხა უნდა გადაეცა მომსახურების დასრულების შემდეგ. საქმეში წარმოდგენილია სალაროს შემოსავლის ორდერი დათარიღებული 2017 წლის 10 თებერვლით, რომლიც თანახმად, მიმღებს ნ. ფ.-ს გადამხდელმა - ა. ნ.-მ გადასცა 100 (ასი) ლარი, დანიშნულებაში მითითებულია ,,ადვოკატის მომსახურების თანხა". საჩივრის ავტორი 2017 წლის 27 სექტემბრისა და 2018 წლის 11 იანვარს დამატებით წარმოდგენილ განცხადებაში განმარტავს, რომ რადგან მისი და ადვოკატის ურთიერთობა დაიწყო 2016 წლის აპრილში, ლოგიკურია, ადვოკატი თანხის გადაუხდელად, უფასოდ არ მოემსახურებოდა 2017 წლის 10 თებერვლამდე. ა. ნ.-ის პოზიციით, აღნიშნული 100 (ასი) ლარი მან ადვოკატს გადასცა დამატებით და ეს იყო სისხლის სამართლის საქმეზე ორდერის გამოსაწერად განკუთვნილი თანხა. ასევე, ეს თანხა შედის მის მიერ მითითებულ 400 (ოთხას) ლარში, ადვოკატი ყოველი სარჩელის მომზადებას აფასებდა ცალკე თანხებად.

5.15 კოლეგია განმარტავს, რომ „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები; განაცხადონ აცილებები; წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით; მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ თავიანთი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე", ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები." საპროცესო კოლეგია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი საქმის მასალებიდან გამომდინარე. ადვოკატი უარყოფს, რომ კლიენტმა გადასცა რაიმე თანხა, გარდა 100 (ასი) ლარისა. საჩივრის ავტორს, გარდა განმარტებისა, კომისიისათვის არ მოუწოდებია რაიმე სახის მტკიცებულება, რომელიც საკმარისი იქნებოდა დასაბუთებული ვარაუდის შესაქმნელად, რომ მან ადვოკატს გადასცა ჰონორარი 450 (ოთხას ორმოცდაათი) აშშ

დოლარისა და 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით. საქმეში წარმოდგენილია 100 (ასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. შესაბამისად, კოლეგია ადგენს, რომ ადვოკატმა კლიენტისაგან მიიღო 100 (ასი) ლარი და ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის დარღვევა არ დგინდება.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3, მე-5 და მე-15 ნაწილებით; ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტით, 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, 32-ე და 33-ე მუხლებით;,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ"დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-19, 27-ე, 28-ე, 30-ე, 31-ე მუხლებით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №063/17 ადვოკატ ნ. ფ.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/